საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი

1. უნივერსიტეტში პროგრამის შეფასებას ახდენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით;
2. პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებენ: ა) სტუდენტები, ბ) პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი და მოწვეული პროფესორები, გ) უნივერსიტეტის ის პროფესორები, რომლებიც არ მონაწილეობენ აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში, დ) გარე ქართველი და უცხოელი ექსპერტები, დ) პოტენციური დამსაქმებლები, ე) პროგრამის კურსდამთავრებულები და სხვ.;
3. პროგრამის შეფასების პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა ითვალისწინებს: ა) სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების და/ან სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარის შევსებას როგორც ტრადიციული ფორმით, ისე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ბ) პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული კონცეპტუალური და ტექნიკური საკითხების განხილვაში მონაწილეობას; გ) ინტერვიუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან და სხვ.;
4. პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პროფესორების მონაწილეობა შეფასების პროცესში ითვალისწინებს: ა) ერთმანეთის ლექციებზე დასწრებას და სალექციო კურსების კოლეგიალურ შეფასებას; ბ) მონაწილეობას პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული კონცეპტუალური და ტექნიკური საკითხების განხილვის პროცესში; გ) ინტერვიუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან და სხვ.;
5. უნივერსიტეტის ის პროფესორები, რომლებიც არ მონაწილეობენ აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში, პროგრამის შეფასებას ახდენენ: ა) პროგრამის შემადგენელ ამა თუ იმ სალექციო კურსზე დასწრებით და სალექციო კურსების კოლეგიალური შეფასებით; ბ) კურიკულუმის სრულყოფასთან დაკავშირებულ განხილვებსა და დისკუსიებში მონაწილეობით და სხვ.;
6. გარე ქართველი და უცხოელი ექსპერტები პროგრამის შეფასებას ახდენენ: ა) პროგრამის შემადგენელ ამა თუ იმ სალექციო კურსზე დასწრებით და სალექციო კურსების კოლეგიალური შეფასებით; ბ) კურიკულუმის სრულყოფასთან დაკავშირებულ განხილვებსა და დისკუსიებში მონაწილეობით და სხვ.;
7. პოტენციური დამსაქმებლები აფასებენ პროგრამის მონაწილე სტუდენტების/კურსდამთავრებულების კვალიფიკაციას, შრომის ბაზრისთვის მათი მომზადების დონეს. კერძოდ, ისინი აფასებენ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარებს. შეფასება ხორციელდება: ა) კითხვარების საშუალებით; ბ) ინტერვიუს გზით; გ) სტუდენტთა დახასიათებით; დ) სტუდენტთა სამეცნიერო

კონფერენციების მოხსენებების, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასებით და სხვ.;

8. პროგრამის კურსდამთავრებულები პროგრამას აფასებენ: ა) კითხვარების საშუალებით; ბ) ინტერვიუს გზით და სხვ.;
9. პროგრამის შეფასების ინდიკატორებთან დაკავშირებულ ინფორმაციას აგროვებენ: უნივერსიტეტის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის შესაბამისი კომპეტენციის ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან თანამშრომლობით. აღნიშნულ პროცესს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
10. პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.
11. პროგრამის შეფასების შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტებისა და აკადემიურ საბჭოებს.